GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 429
თარიღი: 11 12 2014 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა
Ministry of Justice of Georgia
Office of the Chief Prosecutor of Georgia

KA011321788346014
გორგასლის ქ. 24, თბილისი 0114, ტელ./ ფაქსი: +(995 32)2 405 142
24, Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia. Tel/Fax: +(995 32)2 405 142
E-mail: international@justice.gov.ge
www.justice.gov.ge www.psg.gov.ge

№ 13/74964 **03 / დეკემბერი / 2014 წ.**

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)"
დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს
ქ. თბილისი, რაზმაძის ქუჩა N15

ბატონო სერგი,

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განიხილა თქვენი 2014 წლის 03 ოქტომბრის N686 განცხადება, რომლის პასუხად გიგზავნით სსკ-ის 144 [1] მუხლზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლებს წლების მიხედვით: 2011 წელს 144 [1] მუხლით დევნა დაიწყო - 3 პირის მიმართ, 2012 წელს - 17 პირის, ხოლო 2013 წელს - 56 პირის მიმართ.

აქვე, გაცნობებთ, რომ სტატისტიკური ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენმა პირმა მომართა საქართველოს პროკურატურას წამების ფაქტის გამოსაძიებლად არ მოგვეპოვება. თუმცა აღვნიშნავთ, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა პერიოდულად ახორციელებს შემოსული საჩივარ-განცხადებების ანალიზს. დღეისათვის განხორციელებულია მხოლოდ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში შემოსული საჩივარ-განცხადებების ანალიზი, შესაბამისად ამ პერიოდში საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოძიების დაწყების მოთხოვნით შემოვიდა - 2,787 საჩივარ/განცხადება, რომელიც შეეხებოდა პოლიციის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და პროკურატურის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ ცემა-წამებას, მუქარასა და იძულებას.

პატივისცემით,

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი

ირაკლი ჩილინგარაშვილი